ეკოტურიზმის
განვითარების
ცენტრი

ეკოტურიზმი

ECOTOURISM
DEVELOPMENT CENTRE

თბილისი
2013

შინაარსი

შესავალი ----------3

რა არის ეკოტურიზმი ----------4

ეკოტურიზმის სახეობები ----------6

ეკოტურისტული ბაზრის ზრდის დინამიკა და განვითარების პერსპექტივები -----8

ეკოტურისტის მარკეტინგული პროფილი ----------9

ხარისხის მენეჯმენტი ეკოტურიზმში ----------11

უსაფრთხოება ეკოტურიზმში ----------13

ეკოტურის დაპროექტება ----------15

განთავსების საშუალებათა ორგანიზება ეკოტურიზმში ----------19

კვების ორგანიზება ეკოტურზმში ----------22

გიდის მუშაობა ეკოტურზე ----------26

გარემოს დაბინძურების შემცირების მეთოდები ეკოტურიზმში ----------28

ინფორმაციული კონტაქტი ეკოტურისტებთან----------32

ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში---------- 35

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 36

შესავალი

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის 2012 წლის სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოში მილიარდზე მეტმა ადამიანმა იმოგზაურა. ტურიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე მდგრადად მზარდი ინდუსტრია და როგორც ყველა ინდუსტრია საჭიროებს რესურსს. ტურიზმის შემთხვევაში ეს არის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, ბუნებრივი და ადამიანური რესურსები. ვინაიდან ნებისმიერი რესურსი, რომელსაც მზარდი ინდუსტრია იყენებს ამოწურვადია, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მათი დაცვა და მდგრადად გამოყენება.

ეკოტურიზმი არის მოგზაურობის ტიპი, რომლსაც სარგებელი მოაქვს გარემოსთვის და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებისათვის. ის იმთავითვე გამორიცხავს რაიმე უხეშ ჩარევას ბუნებაში. ტურიზმის ეს სახეობა უპირველეს ყოვლისა მიმართულია ადგილობრივი კულტურის შენარჩუნებისკენ.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ აღიარა ეკოტურიზმი, როგორც საკვანძო მიმართულება სიღარიბის დაძლევასთან ეფექტური ბრძოლისთვის, გარემოს დაცვისა და კონცსერვაციისთვის, ასევე მდგრადი განვითარების პოპულარიზაციისთვის.

წინამდებარე პუბლიკაციაში განხილულია ეკოტურიზმის საკვანძო საკითხები. იგი შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ცენტრის“ მიერ და წარმოადგენს ორგანიზაციის მოკრძალებულ მცდელობას, ხელი შეუწყოს სქართველოში ეკოტურიზმის პოპულარიზაციას.

რა არის ეკოტურიზმი

გლობალური ტენდენციები მსოფლიო ტურიზმში, გულისხმობს ძირითადად ისეთი სახის ტურიზმს, რომელიც მიმართულია მდგრად განვითარებაზე და ასევე ბუნების წიაღში, ანუ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენებაზე. ტურიზმი არის ეკონომიკური საქმიანობა და მის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს არამატერიალური ობიექტის, ანუ ადამიანისთვის საოცნებო გარემოს გაყიდვა. ვინაიდან XXI საუკუნის ადამიანი ინდივიდია და ასევე გარემოს მიმართ მისი დამოკიდებულება მისი დაცვისკენ არის მიმართული შეგვიძლია ვთქვათ, რომ XXI საუკუნეში ეკოტურიზმი, როგორც მდგრადი ტურიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი უდაოდ „ ბესთ სელლერი“ იქნება.

”ეკოტურიზმის” განსაზღვრება დიდი ხნის განმავლობაში არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ტერმინი ”ეკოტურიზმი” თავდაპირველად გამოყენებულ იქნა მარკეტოლოგების მხრიდან ბუნებაზე ორინეტირებული ტურისტების მოსაზიდად, მაგრამ სინამდვილეში ასეთ ტუროპერატორებს ნაკლებად აღელვბდათ ბუნების დაცვა. ამის გამო ეკოტურიზმის იდეა დიდი ხნის განმავლობაში ტურიზმის თეორიტიკოსებისგან იწვევდა და იწვევს სკეპტიკურ დამოკიდებულებას. თავისთავად ცხადია რომ ”ეკოტურიზმი” არის შემოკლებული ვარიანტი ”ეკოლოგიური ტურიზმისა”, რაც თავად ეკოლოგიის როგორც მეცნიერების მხრიდან არცთუ მართებული განმარტებაა. ხშირად ეკოტურიზმი განიხილება როგორც ”მდგრადი ტურიზმი”, რაც გულისხმობს ტურისტული რესურსების ისე გამოყენებას რომ ბუნებრივ გარემოს არ მიადგეს ზიანი.

აღსანიშნავია რომ არსებული გაუგებრობის და იმის გამო რომ ეკოტურიზმი მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ განსხვავებულად აღიქმება, ზოგიერთმა ტურისტულმა ფირმამ უარი თქვა ტერმინ ”ეკოტურიზმის” გამოყენებაზე და პრაქტიკაში დამკვიდრდა შინაარსით მსგავსი სხვა ტერმინები: ”ბუნებრივი ტურიზმი”, ”მსუბუქი ტურიზმი”, ”მწვანე ტურიზმი”, ”აგროტურიზმი” და სხვ.

ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცის (TIES) მიხედვით ეკოტურიზმი ეს არის: ეკოტურიზმი ეს არის გონივრული მოგზაურობა ბუნებრივ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვას და ადგილობრივ მცხოვრებთა კეათილდღეობას.

გამოიყოფა ეკოტურიზმის სხვადსხვა მახასიათებლები:

- ნებისმიერი მოგზაურობა, რომლის დროსაც მოგზაური შეისწავლის გარემოს;
- მოგზაურობა, რომლის დროსაც მთავარ ღირებულებას წარმოდგენს ბუნება;

- მოგზაურობიდან შემოსული თანხები მიემართება გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დასაფინანსებლად;
- ტურისტი თავად მონაწილეობს ისეთ ქმედებებში, რომელიც მიმართულია ველური ბუნების შესანარჩუნებლად ან აღსადგენად.

საბოლოოდ შეგვიძლია გამოვყოთ ეკოტურიზმის სამი ძირითადი კომპონენტი:

1. ბუნების შეცნობა - მოგზაურობა გულისხმობს ბუნების შესწავლის სხვადასხვა ელემენტებს, ტურისტის მიერ ცოდნის და სიახლეების შეცნობას;
2. ეკოსისტემის შენარჩუნება - გულისხმობს ტურისტების არა მარტო შესაბამის ქცევას ბუნებაში, არამედ მათ და ტუროპერატორთა მონაწილეობას გარემოსდაცვით ღონისძიებებში;
3. ადგილობრივი მოსახლების ინეტერესების პატივისცემა - არამარტო ადგილობრივი წესების და ტრადიციბეის დაცვა, არამედ ტურიზმის შემოსავლების ჩადებას რეგიონის საოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ეკოტურიზმის სახეობები

თანამედროვე დროში გამოყოფენ ეკოტურიზმის ოთხ ძირითად მიმართულებას:

1. **სამეცნიერო ტურიზმი.** სამეცნიერო ეკოტურებში ტურისტები მონაწილეობენ ბუნების სხვადასხავა ფორმით შესწავლაში, აწარმოებენ საველე დაკვირვებებს. მაგალთად ფართოდ გავრცელებულია ფრინველების ქცევაზე დაკვირვება, ვეშაპების სახეობათა აღრიცხვა და სხვ. როგორც წესი ასეთ ტურების განხორციელების ადგილი არის განასკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიები: ნაკრძალები, ეროვნული პარკები, აღკვეთილები, ბუნების ძეგლები. სამეცნიერო ტურიზმს განეკუთვენაბა ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები, სხვადასხვა უნივერსიეტეტების და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტთა საველე პრაქტიკები.

2. **ბუნების ისტორიის ტურები.** ეს არის მოგზაურობა, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრვი გარემოს და ადგილობრივი კულტურის შეცნობასთან. როგორც წესი, ესეთი ტურები წარმოადგენს სინთეზს სასწავლო, სამეცნიერო-პოპულარულ და თემატური ექსკურსიებისას, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალურად აღჭურვილ ეკოლოგიურ ბილიკებთან. უფრო ხშირად მათი ორგანიზება ხდება ნაკრძალებში და ეროვნულ პარკებში. ამასვე მიეკუთვნება სკოლის მოსწავლეთა ლაშქორბები, რომლის დორსაც გიდი მათ უტარებს ექსკურსიას და გაკვეთილებს ბუნებაზე. ეკოტურიზმის ეს სახეობა განსაკუთრებით პოპულარულია გერმანიაში, ამის გამო მას "ეკოტურიზმის განვითარების გერმანულ მოდელს" უწოდებენ.

3. **სათავგადასავლო ტურიზმი.** მოცემული ტური აერთიანებს მოგზაურობებს, რომელიც დაკავშირებულია ბუნებაში აქტიურ გადაადგილებასთან და დასვენებასთან (outdoor), რომელთაც აქვთ ახალი შეგრძნებების მიღების, ფიზიკური ფორმის გაუმჯობესების და სპორტული მიღწევების საკუთარი მიზანი. აქ ერთიანდება ტურიზმის ისეთი სახეობები როგორიც არის: ალპინიზმი, კლდეზე ცოცვა, სპელეოტურიზმი, სამთო და სალაშქრო ტურიზმი, საწყალოსნო, სათხილამურო და სამთო-სათხილამურო ტურიზმი, კანიონინგი, საცხენოსნო ტურიზმი, მაუნთბაიკი, დაივინგი და სხვ. ტურიზმის აღნიშნული სახეობების დიდი ნაწილი არცთუ დიდი ხნის წინ წარმოქიმნა და ექსტრემალურად ითვლება, რადგანაც დაკავშირებულია დიდ რისკთან. ამასთან იგი ეკოტურიზმის ყველაზე სწრაფად განვითარებადი, შემოსვალიანი და ძვირადღირებული სახეობებია. სათავგადასავლო ტურიზმს ხშირად ეძახიან "მძიმე ეკოტურიზმს" რადგანაც ხშირ შემთხვევაში ასეთ ტურებზე

ტურისტების ინტერესი თავგადასავლების მიმართ, დიდად აჭარბებს ბუნების დაცვის მოტივებს.

მოცემულ დროში მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე სათავგადასავლო ტურიზმი ეს არა მხოლოდ მოგზაურობაა დაკავშირებული თავგადასავალთან, არამედ ეს არის ტურები მხოლოდდამხოლოდ ტურისტთათვის არსებული რაღაც განსაკუთრებული ელემენტებით. ერთიდაიგივე ტუროპერატრი ბაზრის მოცემულ სეგმენტს შეიძლება სთავაზობდეს მომსახურების ფართო სპექტრს: დაწყებული ჩვეულებრივი, ბანალური გასეირნებიდან ტყეში, დასრულებული ექსპედიციით ანტარქტიდაში.

4. **მოგზაურობა ბუნებრივ რეზერვატებში (დაცულ ტერიტორიებში)**. უნიკალური და ეგზოტიკური ბუნებრივი ობიექტების და მოვლენების მრავალფეროვნება, რომელიც მდებარეობს დაცულ ტერიტორიებში, იზიდავს მრავალ ტურისტს. მაგალითად ტურისტების 48% რომელიც ჩადის ლათინურ ამერიკაში, მათ აქვთ დაცულ ტერიტორიებში მოგზაურობის მიზანი. თავის მხრივ ეროვნული პარკების ხელმძღვანელობა ცდილობს ეკოლოგიური მოგზაურობები მეტად საინტერესო გახადოს, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში მდებარე იელოსტოუნის ეროვნულ პარკში გეიზერების ბუნებრივ აქტივობასთან დაკავშირებით ექსკურსიების ხანგრძლივობა გათვლილია წამებში. ძალზედ ხშირად ბუნებრივი ობიექტების დათვალიერება, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მღვიმეებზე ხდება ფერდი განათების, მუსიკის, თეატრალური წარმოდგენების ფონზე.

ეკოტურისტული ბაზრის ზრდის დინამიკა და განვითარების პერსპექტივები

მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის (WTO) მონაცემების მიხედვით 90-წლებში ეკოტურიზმზე მოდიოდა საერთაშორისო მოგზაურთა 7%, ხოლო რესურსთა საერთაშორისო ინსტიტუტის გამოთვლების მიხედვით, მსოფლიო ტურიზმის წლიური 4%-იანი ზრდის საერთო რაოდენობაში ეკოტურიზმის შემოსვალები 10-30%-ით იზრდება. განსაკუთრებით მაღალი მონაცემებით გამოირჩევა აზიურ-წყნარ ოკიანური რეგიონები. სპეციალისტების აზრით საერთაშორისო ტურისტთა 40%-დან 60%-მდე მოგზაურობს ეკოტურისტულ ცენტრებში, აქედან 20-24% ორიენტირებულია ველური ბუნების ტურისტულ რესურსებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების მოგზაურობის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, მოგზაურ ამერიკელთა 7% (დაახლოებით 8 მლნ. ადამიანი) მონაწილეობდა ერთ ეკოტურში მაინც, ხოლო 30% განაცხადა რომ განახორციელებენ ასეთ მოგზაურობას. აქედან გამომდინარე 43 მლნ. ამერიკელი შეგვიძლია მივაკუთვნოთ ეკოტურისტთა რიცხვს. ასევე უნდა აღინიშნოს რომ აშშ-ს მხოლოდ დაცულ ტერიტორიბში მოგზაურობიდან 14,2 მილიარდი დოლარი შემოსავალი შემოსდის და უზრუნველყოფს მრავალ ათას სამუშაო ადგილს.

ნეპალში 1980 და 1991 წ-მდე ეკოტურისტების რაოდენობა გაიზარდა 255%-ით. ყოველწლიუად ქვეყანას ეკოტურისტებისგან 200 მლნ. დოლარი შემოსდის. კოსტა-რიკა ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა ეკოტურისტების მიღების მხრივ, ქვეყანაში ჩასულ ტურისტთა 66% მოგზაურობს დაცულ ტერიტორიებში.

WTO-ს მონაცემებით 2020 წლისთვის საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა გაიზრდება 1,6 მილიარდ ადამიანამდე. დღეს ეს მონაცემი 1,1 მილიარდია. ამასთან უნდა აღინშნოს რომ უახლოეს მომავალში ტურიზმის უფრო პერსპექტიული სახეობები იქნება საკრუიზო, ეკოლოგიური, სათავგადასავლო და თემატური ტურები.

მრავალი ავტორი ვარაუდობს რომ ტურისტული მომსახურების მოთხოვნის ზრდა მოხდება საპენსიო ასაკის ადამიანთა ხარჯზე, რომელთა ნაწილი მნიშვნელოვნად დაინტერესებულია ეკოტურებით. ეს განსაკუთრებით შეეხება ამერიკელ, იაპონელ და გერმანელ ტურისტებს.

ეკოტურისტის მარკეტინგული პროფილი

ეკოტურიზმის საერთშორისო ორგანიზაციის დაკვეთით გამოკვლეულ იქნა ეკოტურისტის მარკეტინგული პროფილი, რის შედეგადაც მიღებულ იქნა შემდეგი მნაცემები:

- ასაკი - 35-54 წელი, რა თქმა უნდა არსებობს სხვადასხვა გადახრები საშუალო მაჩვენებლიდან;
- მომხმარებლის სქესობრივი სტრუქტურა - 50% ქალები, 50% კაცები;
- განათლება - მინიმუმ კოლეჯი;
- მოგზაურობისთვის მისაღები თანასაზოგადოება - 60% მოგზაურობს წყვილად, 15% ოჯახთან, 13% მარტო;
- ტურის სასურველი ხანგრძლივობა - 8-14 დღე;
- მოგზაურობაში ფულის დახარჯვის სურვილი - აღნიშნულია, რომ ეკოტურისტები მზად არიან საშუალოდ დახარჯონ 1000-1500 $ (უფრო მეტი ვიდრე ჩვეულებრივი ტურისტი);
- ტურის მომხიბვლელობის თავისებურება - ველური ბუნება, ცოცხალი ბუნების შესწავლა, ფეხით სიარული, კულტურის შესწავლა, ადგილობრვი მოსახლეობის ისტორია.

შემდგომმა გამოკვლევებმა გვაჩვენს ეკოტურის სამი ძირითად ელემენტი, რომელიც განაპირობებს კლიენტის არჩევანს, ესენია:

1) სამოგზაურო ადგილის უნიკალურობა;

2) გიდების რაოდენობა და მათი პროფესონალიზმი;

3) აქტიური დასვენების შესაძლებლობა (ფეხით და ცხენით სიარული, სპორტული ტურიზმი და სხვ.);

აღსანიშნავია რომ გამოცდილი ეკოტურისტების 10% გიდის პროფესიონალიზმს ასახელებს არჩევანის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად, რაც დაკავშირებულია იმასთან რომ, ტურსააგენტოების კლიენტთა უმეტესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ ადგილების ბუნების, კულტურის და ისტორიის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაზე, რომელშიც მათ იმოგზაურეს.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეკოტურისტების რეკრეაციული მოთხოვნები განსაკუთრებით მალე იცვლება: მხოლოდ 45% ახორციელებს ერთი და იმავე ადგილას განმეორებით მოგზაურობას. დანარჩენები მიილტვიან ახალი ადგილების და ახლი

თავგადასავლების ძიებისკენ, ამიტომ ტროპერატორები მუდმივად უნდა სთავაზობდნენ სიახლეებს თავის კლიენტებს.

გამოცდილი ეკოტურისტი როგორც წესი უპირატესობას ანიჭებს ერთ ტურში გაერთიანებულ აქტიური დასვენების რამდენიმე ტიპს (ფეხით ლაშქრობა, ცხენით გადაადგილება, რაფტინგი, კანიონინგი და სხვ.). აქვე უნდა აღინიშნოს რომ განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა წყალზე მოგზაურობას უკავშირდება.

ხარისხის მენეჯმენტი ეკოტურიზმში

უცხოურ ეკოტურისტულ ფირმებში ხარისხი ნიშნავს მომსახურების დონის შესაბამისობას ტურისტების მოლოდინთან. აღნიშნული მოლოდინი გულისხმობს: იმის ზუსტ ცოდნას თუ რას ელიან მომხმარებლები; პერსონალს გათვითცნობიერებული აქვს ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული სტანდარტები და საკუთარი როლი ; თანამშრომლებმა ზუსტად იციან ქცევები და ნიშნები, რომლებიც არ შეესაბამება ხარისხის სტანდარტებს, რადგანაც თანამედროვე კონკურენციის პირობებში პერსონალის პროფესიონალიზმის მუდმივი განვითარება არის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა.

ტურისტული მომსახურების მომწოდებელთა არჩევისას (სასტუმრო, რესტორანი, ტრანსპპორტი და სხვ.) ასევე მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ მათი დამოკიდებულება მომსახურების ხარისხის მიმართ, რადგანაც მაგალითად ცუდად შემწვარი მწვადი შეიძლება ტურისტებისთვის გახდეს უკმაყოფილების მიზეზი ტურისტული ფირმის, ან გიდის მიმართ, იმის მიუხედავად რომ ამ უკანასკნელთ საერთოდ არ აქვთ კავშირი აღნიშნულ კომფლიკტთან.

ეკოტურიზმის მთავარი სხვაობა ტურიზმის სხვა სახეობებისგან ის არის, რომ გიდი და ტურისტთა ჯგუფი ასრულებს ბუნების დამცველთა ფუნქციას. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივი ტურისტებისგან განსხვავებით, რომლებიც საკუთარ კომფორტს პირველ ადგილას აყენებენ, ეკოტურიზმში ეს მიუღებელია. აქ აუცილებელია კომფორტზე უარის თქმა ბუნების დაცვის სასარგებლოდ. გამოცდილი ეკოტურისტები იოლად თანხმდებიან საველე პირობებზე და კომფორტის შეზღუდვაზე.

რა თქმა უნდა შეინიშნება მნიშვნელანი სხვაობა ეკოლოგიური და სათავგადასავლო ტურების მონაწილეთა შორის. უკანასკნელნი იქცევიან უფრო ეგოისტურად ბუნებასთან მიმართებაში, მათ გაცნობიერებული აქვთ რომ მინიმალურად უნდა მიაყენონ ზიანი ბუნებას, მაგრამ მზად არ არიან თავისი დროის და მით უმეტეს კომფორტის ნაწილი შესწირონ, რათა თავისი წვლილი შეიტანონ ეკოტურისტების საერთო საქმეში.

მომსახურების ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს გიდის და ტურისტთა ჯგუფის რაოდენობრივი შეფარდება. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ეს დამოკიდებულია მარშრუტის სირთულეზე: სათავგადასავლო-ექსტრემალურ ტურიზმში საშუალოდ - 1:5 (1 გიდი, 5 ტურისტი), თუმცა გამონაკლის შემთხვევებში 1:1; ბუნების ისტორიის და სამეცნიერო ტურიზმში - 1:10-დან 1:20-მდე; დაცულ ტერიტორიებში მოგზაურობისას (ეროვნულ პარკებში, ნაკრძალებში) – 1:8.

მომსახურების ხარისხი ეკოტურიზმში ასევე გულისხმობს გარემოს დაცვის საფუძვლების სწავლებას, ბუნების და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურის შემეცნებას. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ტურისტებისთვის ინფორმაციის მიწოდებისას ჩვენ საქმე გვაქვს არა ბავშვებთან, არამედ მოზრდილ ადამიანებთან, რომელთაც გააჩნიათ თავისი ხედვა. ამიტომ სწავლების ჩვეულებრივი მეთოდები მიუღებელია. ამისთვის მსოფლიოში ცნობილი სხვადასხვა ტურისტული კომპანია განსხვავებულ მეთოდებს იყენებს.

მაგალითად ტურისტულ კომპანია "Niagara Nature Tours"-ში შეიმუშავეს ეკოტურისტების სწავლების პროგრამა, რომელიც თავის თავში შეიცავს ჰუმანიტარლ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებს, იგი გულისხმობს ტურისტების თეორიულ სწავლებას და პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებას, რასაც სხვადასხვა ფორმით ახორციელებენ:

- ადგილობრივი მუსიკოსების, მსახიობების, მთხრობელების დაქირავება ადგილობრივი ტრადიციული კულტურის სადემონსტრაციოდ;
- შთაბეჭდილებების გასაძლიერებლად სპეცილურად დამზადებული ბარათების გამოყენება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას და სურათებს იმ ადგილების და საინტერესო ობიექტების შესახებ რისი ნახვაც მოუწევთ ტურისტებს ტურის მსვლელობისას;
- ცხოველების და ფრინველთა ხმების აუდიო ჩანაწერს გამოყენება ფონად;
- ბუნებრივი ნიმუშების გამოყენება სადემონსტრაციოდ და განხილვისათვის;

ამ ყოველივეს შემდეგ ტურისტებს გადაეცემათ სარაეკლამო ბარათები, ბუკლეტები და ბროშურები, მიღებული ცოდნის გასამყარებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკოტურიზმში მომსახურების ხარისხის განმსამზღვრელი უმნიშვნელოანესი ფაქტორი არის სწორედ შემეცნებითი მხარე, რაც ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია არაორგანიზებული ტურიზმისა, ორგანიზებული ტურიზმისგან.

უსაფრთხოება ეკოტურიზმში

ეკოტურიზმში მომუშავე ტურისტული სააგენტოებისთვის უსაფრთხოების ასპექტის განსაზღვრა მრავალ მიმართულებას გულისხმობს, დაწყებული ტურისტის უსაფრთხოებიდან კონკრეტულ მარშრუტზე, დამთავრებული ტურისტული რეგიონის ეკონომიკური განვითარების უსაფრთხოებით. მსოფლიო პრაქტიკაში ხშირად ყოფილა, როდესაც ბუნებრივ, სოციალურ, ეპიდემიოლოგიურ და სხვა საფრთხეებს, მიუყვანივართ ტურისტთა დაღუპვამდე. მაგალითად საფრანგეთსა და იაპონიაში ყოველ წლიურად მხოლოდ სამთო მარშრუტებზე იღუპება 100 ადამიანზე მეტი, ალპებში ეს ციფრი შეადგენს 300-400 ადამიანს. ამასთან აღსანიშნავია რომ უბედური შემთხვევების რაოდენობა, რომელიც ტურისტთა სიკვდილით სრულდება წლიდან წლამდე 13-17%-ით მატულობს.

თანამედროვე მდგომარეობით მოგზაურობის ექსტრემალურობა განსაკუთრებით სათავგადასავლო და სპორტულ ტურიზმში იზრდება. პირველ რიგში ამას ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი და აღჭურვილობის ახალი სახეობების გამოჩენა. ერთი შეხედვით ჩამოყალიბდა პარადოქსული სიტვაცია - მოგზაურობა გახდა უფრო იოლი, მაგრამ საფრთხე მარშრუტზე არა მხოლოდ მცირდება, არამედ იზრდება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უბედური შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება არა მხოლოდ რთულ მარშრუტებზე, არამედ საბანაკე ადგილებში - ცეცხლის კოცონით დამწვრობა, ცულით მიყენებული ჭრილობა და სხვ; სასტუმროებში - მაგალითად დავარდნა შხაპის მიღებისას; რესტორნებში - დამწვრობა ცხელი კერძით და სხვ.

უსაფრთხოება ეკოტურიზმში გამომდინარეობს სამი მთავარი კომპონენტიდან: ეკოტურისტის პირადი უსაფრთხოება, ეკოტურისტის ქონების უსაფრთხოება და იმ ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოება სადაც მოგზაურობს ტურისტი.

საფრთხეები ეკოტურიზმში შეგვიძლია დავყოთ ორ ძირითად მიმართულებად - ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური საფრთხეებია: მიწისძვრა, თოვლის ზვავები, მეწყრები და ღვარცოფები, კლდეზვავი, ქვათაცვენა, გარეული ცხოველები
და მწერები, მეტეოროლოგიური მოვლენები და სხვ. რაც შეეხება სუბიექტურ საფრთხეებს ესენია: შეცდომები ტურის ორგანიზებისა და განხორციელებისას, ტურისტთა შესაძლებლობების არასწორი განსაზღვრა, მარშრუტის სირთულის ვერ შეფასება, უვარგისი და მარშრუტისთვის შეუფერებელი აღჭურვილობა, გარემოში ორიენტაციის დაკარგვა, ეპიდემიოლოგიური საფრთხე, ადგილობრივი მოსახლეობის აგრესიული ქმედება, კრიმინალური სიტვაცია და სხვ.

ასევე ეკოტურიზმში საფრთხეების კლასიფიკაცია ხდება მათი შინაარსის მიხედვით:

- ტრავმულობა - საგნების გადაადგილების შედეგად (ქვათაცვენა, ზვავის ჩამოწოლა და ა.შ), აღჭურვილობის უვარგისი ერგონომიული ხასიათის შედეგად (ვიწრო ფეხსაცმელი, უხარისხო სადაზღვევო სისტემა - თოკი, "კარაბინი" და ა.შ), სახიფათო ატმოსფერული მოვლენების შედეგად (მეხი და ა.შ);
- გარემოს ზემოქმედება - საფრთხე რომელიც წარმოიქმენბა ცუდი ამინდის შედეგად;
- ხანძრის საფრთხე;
- ბიოლოგიური ზემოქმედება - ცხოველების, შხამიანი მწერების, ინფექციის გადამტანთა კბენის რისკი, ადამიანის ორგანიზმში შხამიანი მიკროორგანიზმების მოხვედრის საფრთხე;
- ფსიქო-ფიზიოლოგიური დატვირთვა - ფიზიკური და ნერვულ-ფსიქოლოგიური დატვირთვის მიღების საფრთხე, მარშრუტის რთული და სახიფათო უბნების გავლისას;
- ულტრაიისფერი და რადიოლოგიური გამოსხივების საფრთხე;
- ქიმიური ზემოქმედება - ტოქსიკური, გამაღიზიანებელი, სენსიბილიზირებული;
- მტვრიანობის და მავნე აირების მომატების საფრთხე - პირველ როგში შენობებსა და ტრანსპორტში;
- რისკის სხვა ფაქტორები - მომსახურების შესახებ არსებული აუცილებელი ინფორმაციის არ ქონის საფრთხე;
- რისკის სპეციფიური ფაქტორები - მარშრუტის დროს ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების წარმოქმნის შესაძლებელი საფრთხე, ასევე სხვა საგანგებო სიტვაციები;
- ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ობიექტთა ცუდი ტექნიკური მდგომარეობა (განთავსების საშუალებები და სხვ.);
- მომსახურე პერსონალის და ტურისტების მომზადების დაბალი დონე მარშრუტის გასავლელად;
- მარშრუტის დროს არასაკმარისი ინფორმაციული უზრუნველყოფა (მარშრუტის მარკირება, ამინდის პროგნოზი და ა.შ)

ეკოტურის დაპროექტება

დასაპროექტებელი ტურისტული მოსხაურების მოთხოვნილებები იყოფა აუცილებელ და რეკომენდირებულ მოთხოვნებად. აუცილებელ მოთხოვნებს მიეკუთვნება: სიხოცხლის უსაფრთხოება, ტურისტების ჯანმთელობა, მათი ქონების დაცვის უზუნველყოფა და გარემოს დაცვა. რეკომენდირებულ მოთხოვნებს მიეკუთვნება: დანიშნულებასთან შესაბამისობა, შესრულების სიზუსტე და თანადროულობა, კომპლექსურობა, მომსახურების ეთიკურობა, კომფორტულობა, ესთეტიურობა, ერგონომიულობა. განვიხილოთ თითოეული ცალცალკე:

- შესაბამისობა - მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტურისტების მოლოდინს და მათ ფზიკურ შესაძლებლობებს. ძნელად წარმოსადგენია რომ ადამიანები რომელთაც აწუხებთ სხვადასხვა სახის ქრონიკული დაავადებები შეძლებენ დღეში რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლას და ა.შ. ამიტომ ტუროპერატორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შეადგინოს ტურისტების ფიზიკური მომზადებისთვის შესაბამისი მოთხოვნილებების სია კონკრეტულ მარშრუტზე.
- შესრულების სიზუსტე და თანადროულობა - წარმოდგენილი მომსახურებები თავისი შინაარსით და ვადებით უნდა შეესაბამებოდეს ტურპაკეტში არსებულ მომსახურების შეთანხმებულ პროგრამას. ეს ნიშნავს, რომ ტრანსპორტის და საკვების მიწოდება უნდა ხდბოდეს იმ დროს რაც შეესაბამება მომსახურების კლასს, ამასთან სასტუმრო უნდა იყოს აუცილებლად იმ კატეგორიის რომელიც იყო წინასწარ შეთანხმებული და ა.შ
- კომპლექსურობა - წარმოდგენილი მომსახურებები უნდა უზრუნველყოფდნენ სხვა მომსახურებათა მიღაბასაც, რომლებიც აუცილებელია ეკტურისტების ნორმალური არსებობისთვის. მაგალითად მარშრუტის დროს მომხდარი რაიმე უბედური შემთხვევის დროს დაზარალებულთა ევაკუაცია, სამთო კოტეჯში განთავსება თავის თავში უნდა გულისხმობდეს ასევე საკვების მომზადებას და ა.შ.
- მომსახურების ეთიკურობა - ეკოტურისტს გარანტირებული უნდა ქონდეს გიდის და მომსახურე პერსონალის თავაზიანობა, კეთილგანწყობა და კომუნიკაბელურობა. ამასთან ისინი თავისი საქციელით უნდა წარმოდგენდნენ მაგალითს ტურისტებისთვის.
- კომფორტულობა - ტურიზმის ნებისმიერი სახეობა, ექსტრემალურიც კი, ეს პირველ რიგში არის დასვენება. ხოლო დასვენება აუცილებლად უნდა ხდებოდეს, თუნდაც მინიმალური კომფორტით.

- ესტეთიურობა - ეკოტურისტული მარშრუტი აუცილებად დაგეგმილი უნდა იყოს ესტეთიურად მიმზიდველი ადგილების დიდი რაოდენბის გათვალსიწინებით, ლამაზი პეიზაჟებით და ექსკურსიული ჩვენების საინტერესო ობიექტებით.

- ერგონომიულობა - ტურისტებისთვის შეთავაზებული აღჭურვილობა, უნდა შეესაბამებოდეს მისი ექსპლუატაციის უკანასკნელ მოდელებს. არ არის აუცილებლობა ტურისტებს დავურიგოთ ისეთი ნივთები რომლითაც სარგებლობა მათ არ იციან. ამავე დროს ფეხსაცმელი, ტანისამოსი, პარალონები, საძილე ტომრები, ზურგჩანთები უნდა იყიოს მაქსიმაურად კომფორტული და ადეკვატური ზომების, უნდა შეესაბამებოდეს ტურისტთთა ფიზიკურ კონსტრუქციას.

ტურისტული მოთხოვნილების გამოკვლეული მარკეტინგული სტრუქტურა შემდეგია:

1. შესავალი, მომხმარებლის სეგმენტირების ჩამოყალიბება;
2. სეგმენტის დახასიათება, მათი აღწერა (ცვალებადობა, მდგარდობა, ტურფირმისთვის მიწვდომადობა, ათვისების შესაძლებლობა და ა.შ.);
3. სეგმენტირება გეოდემოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ესთეტიური მომხიბვლელობა, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, ტურისტების ქცევის სტერეოტიპი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, სქესობრივ-ასკობრივი დახასიათება, საცხოვრებელი ადგილი და ოჯახური მდგომარეობა;
4. სეგმენტირება სოციალურ-ეკონომიკური ნიშნების მიხედვით: შემოსავლების დონე, სოციალური სტატუსი, განათლების დონე, სხვადასხვა ორგანიზაციის წევრობა;
5. სეგმენტირება ფსიქოლოგიური ნიშნების მიხედვით: რეკრეაციული მოთხოვნილებების ხასიათი, დასვენბის მისაღები ფორმა, დამოკიდებულება თანამედროვე მოდურ ტურისტულ მომსახურებებთან, მომსახურებათა და ტურებით სარგებლობის ინტენსივობა;
6. შესწავლილი სეგმენტიდან ეკოტურისტის მარკეტინგული პროფილის

განსაზღვრა;

7. დასკვნა, შესაბამისი ტურისტული მომსხაურბის განსაზღვრა (მომსახურების ხარისხი, საფასური, მომსახურების ადგილი, ჯგუფის წევრთა რაოდენობა, საექსკურსიო მომსახურების ხასიათი და ა.შ), ტურის დაგაგმვა (შემუშავების ვადები და ეტაპები, ტურისტული მომსახურების მომწოდებლები და ა.შ), სარეკლამო კამპანიის ორგანიზება;

დასასრულს ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ მომსახურების ხარისხის კონტროლის მექანიზმი. პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულია ვიზუალური მეთოდი (ექსპერტების მიერ ტურფირმის მარშრუტის, სასტუმროების, ტრანსპორტის, კვების ობიექტების და საექსკურსიო ობიექტების დათვალიერება), ანალიტიკური მეთოდი

(ტურისტულ მომსახურების მომწოდებელთა მიერ წარმოდგენილი მასალების ანალიზი) და სოცილოგიური მეთოდი (ექსპერიმენტალური ტურის შემდეგ ტურისტების და მომსახურე პერსონალის გამოკითხვა და ანკეტირება).

ეკოტურის დაპროექტების ზოგიერთი ეტაპი გავიაროთ ალპებში განვითარებულ სამთო-სათაგადასავლო ტურიზმის მაგალითზე. ტურის ფორმირების ამომავალი ნიშანი სამია: 1) ბუნებრივი ტურისტული რესურსები 2) მიზნობრივი ჯგუფი 3) ტურინდუსტრიის საშუალებები (ტრანსპორტი, განთავსების საშუალებები, კვება, გიდი და სხვ.).

პირველ ეტაპზე აუცილებელია შეფასდეს ეკოტურიზმისთვის არჩეული ტერიტორიის ბუნებრივი შესაძლებლობები. ასეთი შეფასების ტექნოლოგიური ასპექტი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ სხვადასხვა სეზონზე არსებული ტურისტული ღონისძიებების სახეობები. მაგალითად, მდგრადი თოვლის საფარი შესაბამის რელიეფთან ერთად საშუალებას გვაძლევს ზამთარში განვავითაროთ სამთო-სათხილამურო ტურები, ზაფხულში კი მყინვარებზე და კლდეებზე შესაძლებელია ცოცვა. ბიომრავალფეროვნების მაღალი დონის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ბუნების ისტორიის ტურების განვითარება, ფრინველებზე დაკვირვება და ა.შ.

ამ ეტაპის ბოლო ნაწილია ეკოტურისტული მოქმედების არეალის და მარშრუტის რუკის შედგენა. ამის შემდეგ ხდება ბუნებრივი რესურსების ფიზიკური შეფასება. გამოიყოფა სახიფათო და უსიამოვნო კლიმატური მოვლენები, მათი განმეორადობის ხარისხი. აქვე მუშავდება ტურისტების სიმაღლითი აკლიმატიზაციის პროგრამაც და დგება მარშრუტის სიმალითი პროფილი. ცალკე მომენტია - მოგაზურობისთვის აუცილებელი ჯგუფური და ინდივიდუალური აღჭურვილობის სიის შედგენა.

შემდეგი ეტაპი გულისხმობს ტურისტების ფიზიკური მომზადების მოთხოვნილებების შემუშავებას. უბრალო სალაშქრო და ბუნების ისტორიის მარშრუტების დროს საკმარისია ექიმის ნებართვა მთაში მოგზაურობისთვის და დღეში 8-12 კმ-ს ფეხით დაძლევის შესაძლებლობისთვის. სათავგადასავლო ტურიზმის ექსტრემალური სახეების შემთხვევაში კი ტურისტების ფიზიკურ, ტექნიკურ და მორალური შესაძლებლობების მიმართ მოთხოვნილებები უფრო სერიოზულია.

ტურის ფორმირების მესამე ეტაპზე იწყება ტუროპერატორის სამუშაო ტურმომსახურებათა ერთ პაკეტში თავმოსაყრელად. ტურის პროგრამა უნდა შეიცავდეს ტურისტთა მოძრაობის გრაფიკს დღეების მიხედვით და რელიეფის სირთულის მითითებით, ღამის გასათევ ადგილებს, წყაროს მდებარეობებს და ტურისტისთვის საჭირო სხვა ინფორმაციებს.

ტურისტული გადაადგილებისას ტრანსპორტის შერჩევა ხდება გზის საფარის ხასიათის, სატრანსპორტო საშუალების შესაძლებლობის, დაცული ტერიტორიებზე არსებული შეზღუდვების მიხედვით. ამასთან აუცილებელია ტურისტთა ბარგის გადაადგილების გათვალისწინებაც ტრანსპორტით ან მტვირთავებით.

განთავსების საშუალების არჩევა ხდება კონკრეტულ რეგიონში არსებული განთავსების საშუალებათა არსებოსბის მიხედვით. ეს შეიძლება იყოს როგორც სამთო სასტუმროები, ისე საკარვე ბანაკები.

განთავსების საშუალებათა ორგანიზება ეკოტურიზმში

WTO განსაზღვრებით განთავსების საშუალება არის ნებისმიერი ობიქტი რომელიც რეგულარულად ან ეპიზოდურად სთავაზობს ტურისტებს ღამის გათენების საშუალებას. განთავსების საშუალებები იყოფა კოლექტიურ და ინდივიდუალურ კატეგორიებად. კოლექტიური საშუალებები განსხვავდება იმით, რომ მასში ოთახების რაოდენობა უნდა აჭარბებდეს გარკვეულ რაოდენობას, მას უნდა ყავდეს ერთიანი ხელმძღვანელობა, ხოლო მართვა აგებული უნდა იყოს კომერციულ საფუძველზე.

სასტუმრო - ძირითადი კლასიკური განთავსების საშუალება ჩვეულებრივი ტურისტების შემთხვევაში, მაგრამ არა ეკოტურისტების შემთხვევაში. სასტუმროს როგორც განთავსების საშუალების დამახასიათებელი ნიშნებია: ნომრების გარკვეული რაოდენობა, აუცილებელ მომსახურებათა კრებული (საწოლების გასწორება, ოთახის დალაგება, თეთრეულის გამოცვლა, ძვირფასეულობის შენახვა, კორესპონდენციის მოტანა ნომერში, დილის გაღვიძების სერვისი და ა.შ) და დამატებითი მომსახურებები.

სამთო თემატური სასტუმრო - იგი სტანდარტული სასტუმროსგან განსხვავდება არქიტექტურით, დამატებითი მომსახურებებით. მაგალითად ირლანდიაში ესეთი მრავალი სასტუმრო მდებარეობს ძველ ცხე-სიმაგრეებში, შვედეთში ასეთ ტიპის სასტუმროს წარმოადგენს "არქტიკ ჰოლი" რომელიც სრულად აგებულია ყინულით.

ტურბაზები - სასტუმროს ტიპის დაწესებულება, იგი ტურისტებს თავაზობს ღამის გათევას, კვებას, ექსკურსიებს და ფიზიკურ-გამაჯანსაღებელ მომსახურებას. ისინი ფართოდ იყო გავრცელებული ყოფილ საბჭოთა კავშირში და როგორც წესი შენდებოდა ე.წ გეგმიურ ტურისტულ მარშრუტებზე, მათ დასაწყისში, ბოლოში ან რამდენიმე ტურისტული მარშრუტის გადაკვეთის ადგილას. მათი უმეტესობა არ იყო ორიენტირებული ტურისტთა დიდხნიან ცხოვრებაზე, ამიტომ მინიმალური კომფორტით გამოირჩეოდნენ. სასტუმროსგან განსხვავებით ტურბაზებისთვის დამახასიათებელია, რამდნიმე შენობაში განლაგება, ასევე სეზონური საცხოვრებელი ნაგებოების სიმრავლე. ტურისტული ბაზების საშუალო ტევადობა შეადგენს 200-1500 კაცს. ტურბაზები სხვადასხვა ქვეყნებში დღემდე რჩება კოლექტიური განთავსების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საშუალებად შიდა ეკოტურისტებს შორის.

ალპინისტური ბანაკი - სპორტული ბაზა, რომლის დანიშნულება ალპინისტობის შესწავლაა. ამასთან ისინი ორინეტირებული არიან ჩვეულებრივი ტურისტების მომსახურებაზეც, საბავშვო ტურისტულ ჯგუფებზე, სპორცმენებზე, რომლებიც მომზადებას

გადიან საშუალომთიან ბუნებაში. როგორც წესი ალპურ ბანაკებში არის საზფხულო სახლები, კაპიტალური ნაგებობები, მეთოდოლოგიურ და სამედიცინო კაბინეტები, ალპინისტური და სამთო-სათხილამურო აღჭურვილობის გაქირავების პუნქტი, ადგილი საკარვე ბანაკისთვის.

სამთო ქოხები და თავშესაფარები - როგორც წესი ისინი იგება და ეკუთვნის სხვადასხვა ტურისტულ, ალპინისტურ კლუბებს, ფედერაციებს, ზოგჯერ სახელმწიფოს ან სამაშველო სამსახურებს და განკუთვნილია მცირეხნიანი გაჩერებისთვის, მარშრუტის შუაში შესასვენებლად, ან უამინდობის დროს ღამის გასათენებლად. ხშირად ასეთი თავშესაფრები აღჭურვილია სამზარეულოს ოთახით, ტუალეტით, რადიოკავშირით და ა.შ. შენდება სამთოტურისტებისთვის პოპულარულ ადგილებში.

საკემპინგე ადგილი - ტურისტული ჯგუფის განთავსების ადგილი ღამის გასათევად და დასასვენებლად. ასეთ ადგილებში გამოიყენება კარვები და საძილე ტომრები, გამოყოფილია ადგილები ტვალეტისთვის, საკვების მომზადებისთვის. საკემპინგე ადგილის შერჩევისას გასათვალისწინებელია სხვადსხვა მოთხოვნები - ტურისტების უსაფრთხოება, დასვენების კომფორტულობა, წყლის საკმარისი რაოდენობა, ტყესთან სიახლოვე, მოსწორებული ადგილი კარევბის გასაშლელად, ქარისგან დაცულობა. აუცილებელია გვახსოვდეს რომ ასეთი ადგილებიდან ტურისტებმა ნაგავი თვითონ უნდა წაიღონ ან დამარხონ სპეციალურად განკუთვნილ ადგილას თუ ასეთი არსებობს.

ბივაკი (გერმანულად-biwac, ფრანგულად-bivouac) - ტურისტული ჯგუფის განლაგების ადგილი მარშრუტზე ღამისგასათენებლად ან დასავენებლად. ზამთარში ან მაღალმთიანეთში ბივაკი შეიძლება იყოს თოვლის გამოქვაბულშიც, რთული ალპინისტური ასვლის დროს იქ სადაც კარვის დადგმა შეუძლებელია (არ გვაქვს ჰორიზონტალური ზედაპირი) სპეციალურ დასაკიდ კარვებში.

სბაზო ბანაკი - მრავალჯერადად და ხანგრძლივად გამოყენებადი, ყველა მონაწილისგან ორგანიზებული ბივაკი, საიდანც ტურისები მიემართებიან სასწავლო ან კვლევითი სამუშაოებისთვის, ტურისტულ და ალპინისტურ მარშრუტებზე და სხვ. განთავსების ეს საშუალება ყველაზე ხშირად გამოიყენება სპორტულ ან სამეცნიერო ექსპედიციების დროს. აქ არის მოგზაურებისთვის საჭირო პროდუქტები, აღჭურვილობა, რადიოკავშირი, აბანო, ტუალეტი, სანაგვე ორმო და ა.შ. ასევე დიდი კარავი სამზარეულოსთვის. ბივაკის ეს ტიპი ორგანიზებულია ადამიანიბის მნიშვნელოვანი როადენობისთვის ხშირად მარავალი დღის განმავლობაში, ამიტომ აქ აუცილებელია უსაფრთხოების ყველანაირი ზომის მიღება და არსებული გარემოს დაცვა.

ასევე უნდა აღინიშნოს რომ ეკოტურისტების 40% განთავსების საშუალებების არჩევისას უპირატესობას ანიჭებს სოფელში საოჯახო სასტუმროებში გაჩერებას, 27% კარვებს, 21% კომფორტულ სასტუმროებს, დანარჩენი კი განთავსების სხვა საშუალებებს. კანადის ტურისტული სამსახურის მონაცემების მიხედვით სათავგადასავლო ტურიზმში ტურისტების 41% უპირატესობას ანიჭებს კოტეჯებს და სამთო თავშესაფრებს, ხოლო 40%-ზე მეტი კარვებს და ბივაკებს.

კვების ორგანიზება ეკოტურზმში

კვების ორგანიზება ეკოტურზე შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

1) ტურისტების ენერგეტიკული დანახარჯების განსაზღვრა და კვების კალორიულობის დათვლა;
2) ტურსტების გემოვნების გათვალისწინება;
3) კვების რეჟიმის შემუშავება;
4) სტანდარტული მენიუს შემუშავება;
5) პროდუქტების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრა;
6) სამზარეულო მოწყობილობების რაოდენობის განსაზღვრა (ჭურჭელი, საწვავი და ღუმელი, სარეცხი საშუალებები და სხვ.);

ტურისტების ენერგეტიკული დანახარჯების და საკვების კალორიულობის გამოთვლისას საჭიროა გავითვალისწინოთ ალპინიზმის საერთაშორისო სამედიცინო კომისიის და სპორტული დიეტოლოგების რეკომენდაციები. პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს რომ შიმშილის და წყურვილის გრძნობა ზღვის დონიდან მაღალ სიმაღლეებზე და დაღლილობის ფონზე სრულიად განსხვავებულია სტანდარტული ქალაქური პირობებისგან, რომელშიც ადამიანთა უმრავლესობას უწევს ყოფნა. უმადობა ასეთ სიმაღლეებზე ჩვეულებრივი მოვლენაა. უფრო მეტიც მეცნიერულად დადასტურებულია რომ ასეთ პირობებში ტურისტს წყურვილის გრძნობა უჩნდება მაშინ როცა ორგანიზმში წყლის დეპიციტმა უკვე მიაღწია 2 ლიტრს.

ენერგეტიკული დანახარჯები ლაშქრობაში ქვეითად გადაადგილებისას ზურგჩანთის გარეშე შეადგენს 6 კკალ/კგ/სთ (კილო კალორია, ადამიანის წონის ერთ კილოგრამზე ერთი საათის გამნავლობაში) ხოლო 20 კგ ზურგჩანთით მოგზაურბისას 9 კკალ/კგ/სთ. აქედან გამომდინარე მაგალითისთვის ტურისტი რომლის წონა შეადგენს 80 კგ-ს და მას დღეში უწევს 10 სთ სიარული ესაჭიროება დღეში 4800 კკალ, ისიც მხოლოდ ენერგეტიკული დანახარჯების ასანზღაურებლად. ნათელია, რომ ჩვეულებრივი კვების რაციონით და რეჟიმით ასეთი მოთხოვნილებების დაფარვა შეუძლებელია. მეტიც ცალკეული ელემენტების ათვისება საკვების ერთჯერზე მიღების დროს უსაზღვრო არ არის, ამიტომ მძიმე გადაადგილების შემდეგ და მათ შორის, ძალების აღსადგენად აუცილებელია 24-დან 36 სთ-მდე დასვენება და გაძლიერებული კვება, ცილების დიდი შემცველობის საკვებით, იმ შემთხვევაშიც კი თუ ტურისტები არ დაღლილან.

ტურისტებისთვის საჭირო ენერგიის განსაზღვრის შემთხვევაში შეგვიძლია გადავიდეთ მათი მოძიების წყაროებზე. კვების მიკროელემენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია:

ნახშირწყლები - მოგზაურობის დროს ენერგიის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო. ორგანიზმი ნახშირწყლებიდან იღებს ენერგიას სამჯერ უფრო სწრაფად და ჟანგბადის უფრო ნაკლები დანახარჯებით ვიდრე ცხიმებისგან. ტურისტის კვების რაციონის ნახევარზე მეტს უნდა შეადგენდეს ნახშირწყლები. მათი მიღება აუცილებელია ყოველ 2 სთ-ში ფორმის სტაბილიზაციისთვის (სისხლში გლუკოზის დონისთვის). ამასთან ნახშირწყლები უნდა იყოს ადვილად ათვისებადი ფორმით, რათა არ გადატვირთონ კუჭი. ნახშირწყლების საუკეთესო წყარო - ჩირი, შაქარი, შოკოლადი და სხვ.

ცხიმები - კვების ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტი, თუმცა ნაკლებ ძვირფასი, ენერგიის წყაროს მხრივ, რადგანაც ორგანიზმი მის ათვისებაში ხარჯავს დიდი რაოდენობით დროს და კალორიებს. ამასთან, ცხიმებისგან ენერგიის ასათვისებლად ორგანიზმი ხარჯავს ბევრ წყალს. ცხიმებისგან მიღებული კალორიების რაოდენობა დღიურ რაციონში არ უნდა აღემატებოდეს 30-35%-ს. ამიტომ არ არის განსაკუთრებული თვითმიზანი მათი მიღება - პროდუქტების და საკვებს დიდი ნაწილი ისედაც შეიცავს მათ. ცხიმების წაყაროა - ძეხვეული

ცილები - ძალიან მნიშვნელოვანია ფიზიკური ფორმის აღსადგენად. აუცილებელია მიექცეს ყურადღება მცნარეული და ცხოველური ცილების ბალანსირებულად მიღებას. სამწუხაროდ ვეგეტარიანული რაციონი ვერ ფარავს ორგანიზმისთვის აუცილებელ ამინომჟავების მოთხოვნილებებს. ამიტომ გამოსავალი შეიძლება ინახოს მათი ტაბლეტების სახით მიღებაში. ცილებისგან მიღებული კალორიების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 10-20%-ს. ცილების წყარო- ხორცი, კვერცხი, რძე, ყველი, ზოგიერთი ბოსტნეული, თხილი და სხვ.

ვიტამიენბი - არეგულირებნე ორგანიზმის მოქმედების სისტემას და იცავენ მას. ვიტამიენბი ორგანიზმში ხვდება ახალი ქორფა პროდუქტებიდან, თუმცა მათი მიღება მულტივიტამინური კომპლექსის სახით აუცილებელია არაბალანსირებული კვების პერიოდში, როდესაც ორგანიზმი ძირითადად ღებულობს ისეთ საკვებს რომელშიც ვიტამინების შემცველობა დაბალია (კონსერვირებული პროდუქტი), ხოლო ექსპედიცია გრძელდება ერთ კვირაზე მეტ ხანს.

წყალი - ორგანიზმში ასრულებს მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას, მათ შორის გულის რეგულაციის მოქმედებას. მთაში გადაადგილებისას, როდესაც ფიზიკური დატვირთვა დიდია ხდება საათში 2 ლიტრამდე წყლის დაკარგვა. წყალი გამოიყოფა შარდვისას, ოფლისგამოყოფისას, სუნთქვისას, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით დაკარგვა ხდება

დიარეის დროს (8 ლ დღეში). წყლის დანაკარგი მუდმივად უნდა აღვადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ტურისტს შეიძლება შეექმნას ჯანმრთელობის მრავალი პრობლემა. ამიტომ გიდმა ყურადღება უნდა მიაქციოს რომ მათ ზურგჩანთაში მარშრუტის დროს მუდმივად იყოს სითხით სავსე თერმოსი. წყალში არსებული მიკროელემენტები აუცილებელია, როგორც ამგები მასალა ძვლებისთვის, კბილებისთვის, ჰორმონებისთვის, ჰემოგლობინისთვის და სხვ.

უჯრედისი - სასარგებლოა კუჭ-ნაწლავისთვის, განსაკუთრებით მაღალმთიანეთში და ორგანიზმის კვების და მოგზაურობის ახალ რეჟიმზე გადასვლისას.

კვების რეჟიმის და მენიუს შედგენისას აუცილებელია მივყვეთ შემდეგ წესებს:

- რაც შეიძლება მეტი მრავალფეროვნება დღიურ მენიუში
- დილის გასვლის წინ რეკომენდებულია საუზმე, სითხის საკმარისი რაოდენობის მიღებით
- ქვეითად სიარულის დროს ყოველ ორ საათში მოაწყეთ მცირე შესვენება, რომლის დროსაც ტურისტებს შეეძლებათ მცირედით გამოიკვებონ და დალიონ. არანაირი ალკოჰოლი!
- სასიარულო დღის დასასრულს მალევე გამოკვებეთ ტურისტები მსუბუქი საკვებით, რომელიც მდიდარი იქნება ნახშირწყლებით და რაც შეიძლება მეტი სითხე.

ყველაზე მართებული კვების რეჟიმი მოგზაურობის დროს არის ოთხჯერადი კვება, საკვების მიღების შორის ინტერვალი 4-5 სთ. ცხადია რომ ველურ ბუნებაში მოგზაურობის დროს არაა იოლი ასეთი რეჟიმის დაცვა, ამიტომ ცხელი საკვები ეწყობა დღეში 2-3-ჯერ, ხოლო საკვების დანარჩენი მიღება ხდება სიარულსშორის შესვენებების დროს ყოველ 2-3 სთ-ში. ამისთვის ყოველ დილას მარშრუტზე გასვლის წინ ტურისტებს ურიგებენ ინდივიდუალურ ლანჩპაკეტებს, რომელშიც მოთავსებულია ნახშირწყლებით მდიდარი საკვები (შოკოლადი, კანფეტი, ჩირი და სხვ) და ავსებენ მათ ინდივიდუალრ თერმოსებს ჩაით, ყავით, ადუღებული წყლით და ა.შ.

სტანდარტული მენიუ დგება ტურისტული სეზონის დაწყების წინ, ყოველი ტურისტული ჯგუფის მომსახურების პროგრამის გათვალისწინებით, ერთი კვირის მანძილზე დღეების მიხედვით. იმ შემთხვევაში როცა მარშრუტის ხანგრძლივობა ერთ კვირაზე მეტია, ხდება ტიპიური მენიუს გამეორება.

საუზმე ერთის მხრივ უნდა იყოს მაღალკალორიული, რათა შექმნას დღის განმავლობაში საჭირო ენერგეტიკული ბალანსი, მეორეს მხრივ კი მრავალ ტურისტს არ შეუძლია ნოყიერად საუზმობა. საუზმეზე უნდა მოდიოდეს დღიური კალორიულობის 30%. იგი მდიდარი უნდა

იყოს ადვილად ათვისებადი ნახშირწყლებით (შაქარი, ორცხობილა, თაფლი, მიუსლი, ჩირი და სხვ.)

სადილი უნდა ახდენდეს დახარჯული ენერგეტიკული დეფიციტის შევსებას. იგი უნდა შეიცავდეს საერთი კალორიულობის 30%-ს. სადილზე მიზანშეწონილია მოვამზადოთ კერძი ისეთი პროდუქტებისგან რომელიც შეიცავს ძნელად ასათვისბელ ინგრედიენტებს, მაგალითად უჯრედისი.

ვახშამი აუცილებელია მოვაზადოთ ისე რომ ტურისტებმა შეძლონ დღიური დანახარჯის შევსება და მოემზადონ მეორე დღის მოგზაურობისთვის. ერთის მხრივ ის უნდა შეიცავდეს ცილებით მდიდარ საკვებს, რათა მოხდეს კუნთოვანი ქსოვილის აღდგენა, ხოლო მეორეს მხრივ მინიმალური რაოდენობით ძნელად ასათვისებელი და ნერვული სისტემის ამღგზნები პროდუქტებს. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ მოგზაურობებს, სადაც ღამის გათენება ხდება კარვებში- ვახშამის შემდგომ ტურისტები მიდიან დასაძინებლად, სავსე მუცელი კი აწვება დიაფრაგმას და ხელს უშლის გულის და ფილტვების ნორმალურ ფუნქციონირებას. ასეთ შემთხვევებში ძილი არაა სრულყოფილი და არ იძლევა აუცილებელ დასვენების საშუალებას.

აღნიშნულთან ერთად მენიუს შეედგენისას აუცილებელია დავაზუსტოთ ტურისტების გემოვნება. აუცილებელია ასევე გვქონდეს სპეციალური მენიუ ვეგეტარიანელებისთვის, შაქრის ხელოვნური შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის და ა.შ.

გიდის მუშაობა ეკოტურისტებთან

გიდის მომსახურება ტურისტთა ჯგუფის მიმართ იწყება ჯგუფთან უშუალოდ შეხვედამდე დიდი ხნით ადრე, უპირველეს ყოვლისა დასაჯავშნი გვერდიდან მიღებული ინფორმაციის საფუველზე, გიდმა უნდა გაანალიზოს ტურისტთა საშუალო ასაკობრივი სტრუქტურა, მათი ეროვნულობა და ოჯახური მდგომარეობა. ეს დაეხმარება განსაზღვროს მათი ფიზიკური შესაძლებლობები, მენტალობა, კულტურული და კულინარიული უპირატესობანი. ადვილად შესაძლებელია რომ ზოგიერთი ტურისტის დაადების დღე ემთხვეოდეს ტურის მსვლელობას (საზღვარგარეთ ხშირად სათავგადასავლო ტურებს ჩუქნინა სწორედ დაბადების დღეებზე). ტურფირმის სახელით მილოცვა და მცირედი საჩუქარი დადებით შთაბეჭდილებას დატოვებს ტურისტებზე. საზღვარგარეთ ასევე მიღებულია ტურისტებისთვის სერთიფიკატების გადაცემა ექსპედიციაში, ან გარემოს დაცვით პროგრამაში მონაწილეობისთვის, რაც თავის მხრივ წამახალისებელ ფორმას წარმოადგენს ეკოტურისტებისთვის.

აეროპორტში დახვედრისას, აუცილებელია ტრანსფერის პროგრამის შეთანხმება სატრანსპორტო საშუალების მძღოლთან. საჭიროა მოვამზადოთ დაფა, რომელზეც ინგლისურად ეწერება ტურისტული ფირმის სახელწოდება და დაველოდოთ სტუმრებს. მას შემდეგ რაც ჯგუფის წევრები გაივლიან ტურისტულ ფორმალობებს, აუცილებელია მათი ერთად შეკრება, საკუთარი თავის წარდგენა, მივულოცოთ მშვიდობით ჩამოსვლა და მადლობა გადავუხადოთ ჩვენი ტურისტული ფირმის არჩევსთვის. შემდეგ გადავამოწმოთ ჯგუფის წევრთა შემადგენლობა სიის მიხედვით და დავეხმაროთ მათ ბარგის მიღებაში.

ტრანსპორტში პირველ რიგში აუცილებელია ტურისტებს შევახსენოთ უცხო ქვეყანაში ქცევის ძირითადი უსაფრთხოების წესები. ჯგუფის დაღლილობის ხარისხიდან გამომდინარე შესაძლებელია აეროპორტდან ტრანსფერი შევათავსოთ საავტობუსო ექსკურსიას. უცხოელთა ჯგუფის შემთხვევაი საკმარისია მოვამზადოთ აუდიო ინფორმაციული ჩანაწერი ქვეყნის, ან რეგიონის შესახებ სადაც მათ უწევთ მოგზაურობა (სასურველია ჩანაწერი იყოს იმ ქვეყნის სასაუბრო ენაზე საიდანაც ჩამოვიდნენ ტურისტები). ჩანაწერის მოსმენის შემდეგ გიდი პაუსხობს შეკითხვებზე.

გაჩერებების და მაღაზიაში სტუმრობის დროს გიდმა ტურისტებს უნდა შესთავაზოს დახმარება საყიდელის აღცევისას და თანხის გადახდისას, რადგანაც ხშირად არის შემთხვევები როცა გამყიდველები გამიზნულად ცდებიან უცხოელი ტურისტებისთვის ხურდის დაბბრუნებისას. ასევე გიდმა აუცილებლად უნდა მიუთითოს ტურისთთა ჯგუფს

იმ დროზე რომელიც განკუთვნილია, გზაზე შესვენებისას, რათა თავიდან აიცილოს მარშრუტის გრაფიკიდან ამოვარდნა.

სასტუმროში განთავსებისას გიდმა აუცილებლად უნდა იცოდეს თუ ვისთან და სად ცხოვრობს თითოეული ტურისტი, ისე როგორც ტურისტებმა უნდა იცოდნენ თუ სად შეიძლება გიდის ნახვა ნებისმიერ დროს. ასევე აუცილებლია სტუმრებს ვაჩვენოთ სად მდებარეობს ბარი, რესტორანი, დისკოთეკა და ა.შ.

ჩასვლის დღეს, ვახშმობის შემდეგ მიღებულია მოეწყოს გიდის და ტურისტების "გაცნობის საღამო", სადაც გიდი გამოკითხავს ტურისტებს მათ სალაშქრო გამოცდილების შესახებ, თხოვს საკუთარ თავზე მცირედის მოყოლას, შემდეგ მათთან ერთად განიხილავს ტურის პროგრამას და დეტალურად გაივლის მომავალი დღის პროგრამას. საჭიროა გიდმა მისცეს რჩევები ტანისამოსთან და ფეხსაცმელთან დაკავშირებით, დაეხმაროს აღჭურვილობის შერჩევაში. განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება მეორე დილას ჯგუფის შეკრების ზუსტ ადგილასა და დროზე. შეახსენოს ისეთი მნიშვნელოვანი წვრილმანები როგორიც არის მზისგან დამცავი შაშუალებები, სასმელი თერმოსში და ა.შ.

როგორც წესი გიდის სამშაო დღე გრძელდება 6:00-დან 23:00 სთ-მდე. მას მიყავს ჯგუფი მარშრუტზე, აკონტროლებს ცალკეული ტურისტის მოქმედებას, ორგანიზებას უწევს კვებას და დასვენებას, ესაუბრება ბუნებაზე, ისტორაზე, კულტურაზე, ადგილობრივებს და შემხვედრ ტურისტულ ჯგუფებს ეკითხება მარშრუტის შესახებ, ახდენა ამინდის პროგნოზირებას და ა.შ. გიდის სამუშაო - ეს მძიმე, დამღლელი და მეტად საპასუხისმგებლოა, მაგრამ ამასთან ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვანი და საჭიროა, რამეთუ იგი ტურისტებს აძლევს საშუალებას დაისვენონ და აღიდგინონ ძალები, არამედ გაიფართოვონ თვალსაწიერი, მიიღონ უამრავი საინტერესო ინფორმაცია და ზოგ შემთხვევაში დაძლიონ შიშები, ბარიერები და გადალახონ ფსიქოლოგიური დისქომფორტი.

გარემოს დაბინძურების შემცირების მეთოდები ეკოტურიზმში

გარემოს მინიმალური დაბინძურების ტექნოლოგიების გამოყენება მომგებიანია ყველასთვის - ტურისტული ფირმების და განთავსების საშუალებათა მენეჯერებისთვის, ეკოტურისტებისთვის, ადგილობირვი მოსახლეობისთვის, დაცული ტერიტორიების ხელმძღვანელებისთვის. როგორც წესი, ასეთი ტექნოლოგიები და მეთოდები ტურისტულ მომსახურებაში მიმართულია ბუნებრივი რესურსების (ენერგეტიკული, წყლის, მიწის, რეკრეაციული და სხვ.) რაციონალური გამოყენებისკენ. ამ ყოველივეს მივყავართ დანახარჯების შემცირებასთან და ტურპაკეტის გაიაფებასთან, რაც საბოლოოდ იზიდავს ახალ ეკოტურისტებს და იწვევს ტურისტული რეგიონის განვითარებას. შესაბამისად აღნიშნული ტექნოლოგიების იგნორირება იწვევს უკუ ეფექტს, ეკოტურისტების დაკარგვას, კომფლიქტს გარემოს დამცავ ორგანიზაციებთან და სხვა მრავალ პრობლემას, რომელმაც შეიძლება ტურისულ ბიზნესს საფრთხე შეუქმნას.

ეკოტურისტული მარშრუტის დროს, ცალკეული ტურისტული მომსახურება მოითხოვს იმ სტანდარტების და ნორმების დაცვას რაც შემუშავებულია საერთაშორისო პრაქტიკით, განვიხილოთ თითოეული მათგანი:

გარემოს დაბინძურების შემცირება საკვების მომზადებისას.

საკვების მომზადებისას უკეთესია თუ საწვავად გამოვიყენებთ ბუნებრივ აირს ან ბენზინს. ამსათან აუცილებელია მივიღოთ ზომები რათა მათი გამოყენება მოხდეს მაქსიმალურად მცირე რაოდენობით. ამ მიზნით შეშის გამოყენება არარეკომენდირებულია, რადგანაც ეს გარკვეულწილად ბუნებრივ პროცესებში ჩარევას გულისხმობს, ხშირად არის ხანძრის წარმოქმნის მიზეზე და ამასთან ერთად შეშის მოგროვება, ცეცხლის დანთება, მასზე საკვების მომზადების შედეგად გამურული ჭურჭლის გარეცხვა მოითხოვს მნიშვნელოვან დროს და ენერგიას.

აუცილებლია თავიდან იქნას აცილებული საკვების მეორადი გაცხელება, რადგანაც ერთის მხრივ ასეთ შემთხვევაში უარესდება თავდ საკვების გემო და მეორეს იხარჯება ზედმეტი საწვავი.

მენიუს შედგენისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სალათებს და სწრაფი მომზადების კერძებს. იგი სასარგებლოა არა მხოლოდ ადამიანისთვის, არამედ ბუნებისთვისაც, რადგანაც მცენარეული ნარჩენები უტილიზირდება უკეთ, ვიდრე ცხოველური საკვები.

გარემოს დაბინძურების შემცირება ჭურჭლის და ტანისამოსის დარეცხვისას.

ჭურჭლის და ტანისამოსის რეცხვა ტარადიციულად დაკავშირებულია ნარჩენების წარმოქმნასთან, რომელიც იწვევს ნიადაგის და წყლების დაბინძურებას.

აუცილებელია რომ ამ დროს ცხელი წყლის გამოყენება მოხდეს შეძლებისდაგვარად მცირე რაოდენობით რისთვისაც საჭიროა: საგულდაგულოდ გაიწმინდოს ჭურჭელი საჭმლის ნარჩენებისგან, დავრეცხოთ მთელი ჭურჭელი ერთად და არა ცალცალკე - ამ ხერხით მცირდება წყლის გაცხელებისთვის საჭირო ენერგიის დანახარჯი და შესაბამისად რეცხვის შედეგად წამოქმნილი დაბინძურებული წყლის რაოდენობა; ჭურჭლის რეცხვა მოხდეს საღამოობით.

არ გამოვიყენოთ ერთჯერადი ჭურჭელი. უკეთესია თუ ვისარგებლებთ სხვადასხვა ფერის პლასტიკური მრავალჯერადი ჭურჭლით.

რეცხვისას გმოვიყენოთ ისეთი სარეცხი საშუალებები, რომლებიც არ შეიცავს ფოსფორს (სამარკო ნიშნით NP), ან შეიცავს მას მცირე რაოდენობით (P).

ჭურჭლის დარეხცვა უნდა ხდებოდაეს წყლის უახლოესი ობიექტიდან (მდინარე, ნაკადული, ტბა და სხვ.) მინიმუმ 50 მეტრის მოშორებით. დაბინძურებული წყლის გადაღვრა რეკომენდირებულია მიწაზე, რათა ნიადაგში მოხდეს მისი გაფილტვრა.

გარემოს დაბინძურების შემცირება - ნარჩენების უტილიზაცია.

საკვები ნარჩენების უტილიზაცია საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით მწვავეა ეს პრობლემა დაცულ ტერიტორიებში. მცენარეული ნარჩენების დიდი ნაწილი უტილიზირდება თავად ბუნების მიერ, რასაც ვერ ვიტყვით ცხოველურ ნარჩენებზე. აუცილებელია თავიდან ავიცილოთ ცხიმიანი საკვების ნარჩენების მოხვედრა გაუმდინარ წყალსატევებში. ამიტომ უკეთესია ჭურჭლის დარეცხვისას ცხიმის არა წყლით გარეცხვა არამედ ჩვრით მოცილება.

მინის, პოლიეთილენის და მეტალის ნაწარმის უტილიზაცია განსაკუთრებით სირთულესთან არის დაკავშირებული. მინის გადამუშავება ბუნების მიერ პრაქტიკულად არ ხდება, ისევე როგორც პოლიეთილენის, აუცილებელია მათი ევაკუირება, ამიტომ რეკომენდირებულია მათ მაგივრად ქაღალდის ან მუყაოს
ნივთების გამოყენება. არვითარ შემთხვევაში არ შეიძლება პოლიეთილენის დაწვა, რადგანაც წვის პროცესში გამოიყოფა ადამიანისთვის და გარემოსთვის ძალზედ მავნე ნივთიერებები.

გარემოს დაბინძურების შემცირება ტურისტული სატრანსპორტო გადაზიდვებისას.

მიწისზედა ტრანსპორტით მოგზაურობა ხშირად წარმოადგენს ატმოსფეროს დაბინძურების, მცენარეული საფარის დაზიანების და ხმაურის წყაროს.

სატრნასპორტო დანახარჯების და გარემოზე მისი უარყოფითი გავლენის შესამცირებლად უკეთესია მარშრუტი დაიგეგმოს ისე რომ მაქსიმალურად შემცირდეს

მსგავსი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა, ასეთ შემთხვეაში ერთის მხრივ მცირდება ტურისტული ტრანსპორტის რეისების რაოდენობა და მეორეს მხრივ იზრდება ფინანსური შემოსავლები. ამასთან სატრანსპორტო საშუალება მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული ტურისტთა რაოდენობაზე.

შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნას აცილებული ტრანსპორტით ღამე გადაადგილება, განსაკუთრებით ეს ეხება დაცულ ტერიტორიებს. რადგანაც სატრანსპორტო საშუალების განათებამ შესაძლოა გამოიწვიოს კორექტივები ცხოველთა ქცევაში და სხვა მრავალი გართულება.

გარემოს დაბინძურების შემცირება განთავსების საშუალებათა მოწყობისას.

განთავსების საშუალებათა მოწყობა მოითხოვს სითბოს დანაკარგების შემცირების მეთოდების მიღებას და ენერგიის ეფექტურ გამოყენებას. აუცილებელია ფართოდ გამოიყენებოდეს თერმოიზოლაციური მასალები. ამასთან მუქი ფერის კედლები და სახურავი მზეზე თბება უფრო სწრაფად, ვიდრე ნათელი ფერის, ამ ყოველივეს გათვალისწინება ხდება მშენებლობის და დაპროექტების დროს. საკარვე ბანაკის შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ ქარდამცავი კედლის მოწყობა. ყველა აღნიშნული ღონისძიება ხელს უწყობს ენერგიის და საწვავის დაზოგვას და ქმნის ტურისტებისთვის კომფორტს.

ფანჯრებიდან სითბოს დაკარგვა ათჯერ უფრო სწრაფად ხდება ვიდრე კედლებიდან. ამიტომ ორმაგი ფანჯრები აუცილებელია სამთო სასტუმრობეისთვის, კოტეჯებისთვის და ტურისტული თავშესაფართათვის. ფანჯრებზე დაკიდებული ფარდები ცივ ამინდში ხელს უწყობს ოთახში არსებული სითბოს შენარჩუნებას,

ხოლო სიცხეში აკავებს მზის სხივების შემოსვლას. კარების და ფანჯრების განლაგება უნდა იყოს გათვლილი ადგილობრივი ქარების მიმართულებაზე, ორპირის თავიდან აცილების მიზნით.

გათბობის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება (ბუხარი) არაეფექტურია, თუმცა იგი ტურისტებისთის საკმაოდ მიმზიდველია. მათი მოხმარება გამართლებულია მხოლოდ მცირე ზომის ბარებში და რესტორნებში.

აუცილებელია ფართოდ იქნას გამოყენებული ენერგიის არატრადიციული წყაროები, როგორიც არის:: ქარის, თერმული წყლების, მზის სხივების და სხვა სახის ენერგია. მაგალითად კუნძულ ტასმანიაზე არსებულ ეკოტურისტული ბანაკი “Forest Walks” უზრუნველყოფილია სითბოთი და ელექტროენერგიით მხოლოდ მზის და ჰიდრო ენერგიის ხარჯზე. ბანაკი სრულიად მოწყვეტილია რაიონულ ელექტროქსელს. აქ ყველა ხელსაწყო და მოწყობილობა შერჩეულია ენერგიის დაბალი მოხმარების კუთხით.

საველე პირობებში ტურისტებისთვის საპირფარეშო ყოველთვის იყო და რჩება ერთ-ერთ ყველაზე მეტად არამიმზიდველ ასპექტად. პრინციპი ”Free disposal” (ქალები მარცხნივ, კაცები მარჯვნივ) გამოყენებულ შეიძლება იქნას ტურისტების მიერ მხოლოდ მცირედ მონახულებად ადგილებში, რადგანაც ადამიანური ფეკალიები გარეული ცხოველებისთვის წარმოადგენს მრავალი ნაწლავური დაავადების საბაბს. ამასთან მსგავსი ტიპის ტუალეტები თავად ტურისტებისთვისაც დიდ უხერხულობას ქმნის. იგი უახლოესი წყლის ობიექტიდან დაცილებული უნდა იყოს მინიმუმ 100 მეტრით. ფეკალიები დამარხულ უნდა იქნას არანაკლებ 15 სმ სიღრმეზე, ხოლო იქ სადაც ეს შეუძლებელია - დაფარული ქვებით. გამოყენებული ქაღალდი ასევე უნდა იქნას დამარხული ან ევაკუირებული სპეციალური ტომარით.

ტუალეტის ორმოს მოწყობა მიზანშეწონილია იქ სადაც გრუნტის წყლები ღრმად არის განაგებული მიწის ქვეშ. ის არ უნდა მდებარეობდეს წყლის ობიექტთან ახლოს, ან ჩადაბლებულ ადგილას. ორმოს გაკეთების ადგილის შესარჩევად აუცილებელია ასევე გავითვალისწინოთ ადგილობრივი ქარების მიმართულება, რათა დისკომფორტი არ შევუქმნათ ტურისტებს.

დაბანის პროცესი მოითხოვს ტურისტებისთვის განკუთვნილი სრულად გამოყენებული ცხელი წყლის უდიდეს ნაწილს, სტანდარტად მიღებულია წუთში 6-9 ლიტრი წყლის გამოყენება.

საშხაპეები უნდა იყოს თერმოიზოლირებული, ამასთან რომ არ მოხდეს შამპუნით და საპნით დაბინძურება რეკომენდირებულია საშხაპე უახლოესი წყალსატევიდან დაშორებული იყოს მინიმუმ 50 მეტრით.

ინფორმაციული კონტაქტი ტურისტებთან

ეკოტურიზმში, ისევე როგორც ზოგადად ტურიზმში ძალზედ მნიშვნელოვანია ინფორმაციული კონტაქტი ტურისტულ სააგენტოსა და ტურისტებს შორის, რაც მრავალი ფორმით გამოიხატება და რასაც ყველა კომპანია თავისებურად ახორციელებს. გამოცდილ კომპანიებს გააზრებული აქვთ, რომ კლიენტის მოლოდინის დაკმაყოფილება წარმატების მთავარი გასაღებია. ამისთვის აუცილებელია წინსწარვე მკაფიოდ განისაზღვროს ტურისტის მოთხოვნები და ტურფირმის შესაძლებლობები.

ინფორმაცული კონტაქტის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ბროშურების მიწოდება ტურისტებისთვის, სადაც მითითებულია: ტურის ხანგრძლივობა და პროგრამა, აუცილებელი ეკიპირება, დეტალები კვების შესახებ, განთავსების საშუალებები და ა.შ. ამასთან ბროშურას შეიძლება თან ერთვოდეს რეკომენდაციები მოგზაურობაში საჭირო წასაღები ნივთების შესახებ.

აუცილებელია, რომ ტურისტებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ტექსტის, თუ ფოტო-ვიდეო მასალების სახით იყოს რეალისტური და ზუსტად ასახავდეს ტურპროდუქტს. აღნიშნული მასლაები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემდეგი პუნქტების შესახებ:

- აქტიური დასვენების შეასძლებელ სახეობებს;
- სწავლების წარმოდგენილ მომსახურებას;
- მოცემული ტურისტული რეგიონის ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებს;
- რეგიონში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის დონეს;
- რეკომენდაციებს გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობისთვის ზიანის მიყენების შესამცირებლად (ქცევის წესები)

მაგალითად ტრუსტულ კომპანია "Voyageur Quest" ტურისტებს სთავზობს ბროშურას, რომელშიც მოთხრობილია კომპანიის შესახებ, აღწერილია ტურის ყოველი დღე, მოცემულია პასუხები ტურისტებისგან ხშირად დასმულ შეკითხვებზე და სხვადასხვა რჩევები. ბროშურასთან ერთად ტურისტს ეძლევა მის მიერ შესავსები სარეგისტრაციო ფორმები, რომლებიც შეიცავს კითხვებს კლიენტის ფიზიკური მდგომარეობის, ალერგიული რეაქციების, საკვების თავისებურებების შესახებ. ასევე ეძლევათ სამოგზაურო რეგიონის უკეთ შესწავლისთვის რეკომენდირებული ლიტერატურის სია. ყოველივე აღნიშნული კლინტს და თავის მხრივ ტურისტულ სააგენტოსაც საშუალებას აძლევს მიიღონ მოგზაურობამდე მითთვის საჭირო ინფორმაციის მაქსიმუმი. სააგენტო "Sawyer Lake Adventures" არა მარტო გამოუშვა მსგავსი ბროშურები, არამედ მათთან ერთად თავის

კლიენტებს ურიგებენ სპეციალურ ანკეტებს, რომელშიც კლინტი თავად წერს წინასწარ თუ რას მოელის კონკრეტული მარშრუტიდან, რაც თავის მხრივ ტურისტულ სააგენტოს ეხმარება უკეთ დააპროექტოს ტურის პროგრამა ტურისტების ინდივიდუალური სურვილებიდან გამომდინარე.

“Fresh Tracks” ტურისტებს მოგზაურობამდე დაახლოებით ორი თვით ადრე უგზავნის მსგავს მონაცემებს ტურის შესახებ და მასთან დაკაშირებულ რეკომენდაციებს, ხოლო გამომგზავრებამდე 3-5 დღით ადრე პირადად ურეკავენ ტელეფონზე თითოეულ კლინტს.

”Smoothwater Outfitters” კლიენტები იღებენ ტურის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის სრულ პაკეტს: რეკომენდირებული ტანისამოსის და აღჭურვილობის სიას, სადაზღვევო ფორმებს, გზამკვლევებს, რუკებს და სხვ. ტურისტებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ სამედიცინო ცნობები, გააფრთხილონ ალერგიის და კვების თავისებურებების შესახებ.

”Nahanni River Adventures” შექმნა დიდი ვებ-გვერდი, რომელიც შეიცავს 200 გვერდამდე ტურისტისთვის საჭირო მსგავს ინფორმაციას და შესაბამისი რეკომენდირებული ლიტერატურის სიას.

ტურისტულ სააგენტოსა და ტურისტს შორის მოგზაურობამდე არსებულ ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციულ კონტაქტთან ერთად, ასევე მნიშვნელოვნია, კონტაქტის შენარჩუნება მოგზაურობის შემდეგაც. კომპანიების უმეტესობა მიიღწვის იქითკენ, დაარწმუნოს კლინტები, რომ კვლავ მათ მიმართონ სამოგზაუროდ, ამისთვის მნიშვნელოანია არა მხლოდ ხარისხიანი მომსახურება, არამედ მუდმივი კონტაქტის შენარჩუნება ტურის დასრულების შემდგომაც.

“Timberline Tours” თავის ტურისტებს უგზავნიან საშობაო მისალოც ბარათებს და ფოტოებს მოგზაურობის შესახებ მეგობრული მოგონებების მიზნით. კომპანია “Sawyer Lake Adventures” ინარჩუნებნ კონტაქტს საკუთარ კლინტებთან განსხვავებული საჩუქრების და სუვენირების გაგზავნით, მაგალითად სვავის ბუმბულის ჩუქებით, თუ ტურის მსვლელობისას აღნიშნულმა ფრინველმა რომელიმე ტურისტში დიდი ინტერესი გამოიწვია და ა.შ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე კლიენტთა საჩივრების, პრეტენზიების განხილვას. აქ მნიშვნელოვნია ტურისტს დავანახთ რომ გულწრფელად დავინტერესდით პრობლემით და ამ ყველაფერს არ ქონდეს ფორმალური ხასიათი. მაგალითად კომპანია “M & W Guides” განიხილავს კლინტთა ყველა საჩივარს და იმ შემთხვევაში თუ ეს საჩივრები არის საფუძვლიანი, კლინტებს სთავაზობს ტურებს 50%-იანი ფასდაკლებით.

რაც შეეხება ტურისტული კომპანიის მხრიდან კლინეტის მიმართ მადლიერების გამოხატულებას, რაც ურთიერთობაში ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგალითად კომპანია “Voyageur Quest” ყოველი წლის ბოლოს ატარებს კონკურსს ტურისტების მიერ გამოგზავნილი ფოტოების მიხედვით და გამარჯვებულ ტურისტს ჩუქნის ოთხ დღიან უფასო ტურპაკეტს.

ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

საქართველოს პატარა ტერიტორიაზე ძალიან მრავალფეროვანი, მდიდარი ეკოსისტემებია და გარდა ამისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული მრავალფეროვნება - საქართველოს დიდი კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია. ეკოტურისტული კომპონენტების მრავალფეროვნება უდაოდ წარმატების საწინდარია საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეკოტურიზმის განვითარება ქვეყანაში ხელს უწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, ახალი სამუშაო ადგილების ორგანიზაციას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ტურისტული მომსახურების სფეროში, რაც ბუნებრივია ამაღლებს მოცემულ რეგიონსა თუ ქვეყანაში მკვიდრთა ცხოვრების დონეს. მეორეს მხრივ ტურიზმის ეკოლოგიური ფუნქციები კი ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ბუნებრივი ტერიტორიების და ფაუნის, ზღვის, ეკოსისტემების, ეროვნული პარკების, ტყეებისა და ნაკრძალების განვითარებას, არქეოლოგიური და ისტორიული ობიექტების აღდგენა-განახლებას, მათ დაფინანსებას, გარემოს დაცვას დაბინძურებისაგან, ხმაურისა და გადატვირთვისაგან.

ის არაჩვეულებრივი რესურსი, რომელიც ეკოტურისტული პროდუქტისათვის აუცილებელია, რომლის შექმნა და ყიდვა შეუძლებელია, საქართველოს აქვს და საჭიროა მისი მხოლოდ დაცვა და შენარჩუნება. შესაბამისად მსოფლიო ტურიზმის ბაზარზე ერთ-ერთ წამყვან მომწოდებლად გახდომა უდაოდ შეუძლია, თუ იგი სწორად განავითარებს პროდუქტს და ასევე სწორად მოხდება მისი პოპულარიზაცია.

ეკოტურიზმის განვითარების ცენტრი სწორედ ამ მიმართულებით აქტიურად არის ჩართული საქართველოს რეგიონებში ეკოტურისტული პროდუქტის განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Алексеевская Н. Страхование: особенности национального тури зма// Разыскивается отдых. - 2000. - № 7. - С. 2-3.
2. БукреевА. Кислородные иллюзии// Восхождение. - 2000. № 5. - С. 113-114. „
3. Гужин Г. С, Беликов М. Ю, Клименко Е. В. Менеджмент в иностранном и внутреннем туризме. - Краснодар: Изд-во Кубанского государственного университета, 1997.
4. Декина В. С. Анализ современного сос тояния ресурсов США// www.wsu.m/Vtravel, 2000.
5. Кропф Ф. А. Спасательные работы в горах. - М.: Физкультура и спорт, 1966.
6. Монтанер Х. Монтехано. Структура туристического рынка/ Пер. с испан. - Смоленск: Изд-во СГУ, 1997.
7. . Сенин В. С. Организация международного туризма. - М.: Финансы и статистика, 2000.
8. Теоретические основы рекреационной географии / Под ред. В.С. Преображенского. - М: Наука, 1975.
9. . Устойчивое развитие туризма: пособие для специалистов по местному планированию. - Мадрид: ВТО, 1992.
10. . Храбовченко В. В. Public Relations в туризме и гостеприимстве. - Краснодар: Изд-во Кубанского государственного университета, 2000.
11. Храбовченко В.В. Экологический туризм, 2002.
12. Штюрмер Ю. А. Опасности в туризме, мнимые и действительные. - 2-е изд., перераб. и доп. - М.: Физкультура и спорт, 1983.
13. A Short Guide to Tourist Security. Ireland Police Force, 1999.
14. Ashton R., Ashton P. An Introduction To Sustainable Tourism (Ecotourism) in Central America: Paseo Pantera Ecotourism Program. Gainesville, FL: Wildlife Conservation International, 1993.
15. Blangy S., Hanneberg P. Ecotourism in Europe: Two Views// The Ecotourism Society Newsletter, 5(2), 1995. - P. 1-3.
16. Catalogue of Exemplary Practices in Adventure Travel and Ecotourism// Prepared by P. Wight and Associates on behalf of the Canadian Tourism

Commission, Ottawa, 1999.

17. Ecotourism — What is it? //www.goodearthtravel.com, 1999.

18. Ecotourism Statistical Fact Sheet// www. ecotourism.org, 1998.

19. Higgins B.R. The Global Structure of the Nature Tourism Industry: Ecotourists, Tour Operators and Local Businesses// Journal of Tourism Research, 7 (3), 1998. - P. 20-39.

20. Ingram C, Durst P. Nature -Oriented Tour Operators: Trav el to Developing Countries// Journal of Tourism Research, 28 (Fall), 1989. — P. 11-15.

21. Marcus L. Endicott Ecotourism, Adventure Travel and Ecotravel //www.green-travel.com, 12 November, 1997.

22. Roe D., Leader-Williams N., Dalai-Clayton B. Take only photographs, leave only footprints: The Environmental Impacts of Wildlife Tourism. Wildlife and Development Series, # 10, The International Institute for Environment and Development, London, 1997.

23. Ward N.K. Ecotourism: Reality or Rhetoric//www.ecotouris m.org March, 1997.

24. Wight P.A. North American Ecotourism Market: Motivations, Preferences and Destinations//Journal of Tourism Research, 1999.

25. Mader R. Ecotourism and spiritualy in Mexico// Radical Grace magazine, June, 1999.

26. Necessary substantiations to the Law of Irkutsk area «About development of ecological tourism»// www.ecotourism.org